№ 10

სამშაბათი, 28 იანვარი 1897 წ.

1877 – 1897

# ივერია

№ 10

სამშაბათი, 28 იანვარი 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი №227.

კნეინა **მარიამ ნიკოლოზის** ასული **ჯამბაკურიან-ორბელიანისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათეს ვთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თავის მეუღლისა თავადის **ალექსანდრე ესტატეს ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისას**, სთხოვს მათ, მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გასასვენებლად საკუთარ სახლიდამ (ორბელიანთ ქუჩაზე) ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 30 იანვარს, 10 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღეა დილის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. (2—1)

## რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

ქართული თეატრი.
**ბენეფისი**
კნ. ბ. ავალიშვილისა.
ოთხშაბათს, 29 იანვარს.
პირველად ახალი პიესა
ქართულ ის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა, ყიფიანისა და აბაშიძის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
I
**ბოშა ქალი ზანდა**
დრ. 4 მოქ. 5 სურ., თარგმ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერჩეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძე და სხვ. ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე კარბელი, საფაროვი, აბრამოვი, გვარამაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი დავით გრიგოლის ძე კვიტაიშვილი ამითი აცხადებს, რომ შვიდს თებერვალს ამა 1897 წლისას თანახმად 1876 წ. გამოცემულ მე-IX ტ. 85 მუხლისა ჩვეულებრივი კრებაა დანიშნული ხსენებულის მაზრის თავად-აზნაურთა. ამისთვის იგი უმორჩილესადა სთხოვს მათ მობრძანდნენ დ. ონში ამ დღისათვის და წარმოადგინონ საჭირო საბუთები, თავისის ადგილ-მამულებისა და ქონების შესახებ. (1—72—1)

## მთავრობის განკარგულებანი.

—

დანიშნულ იქმნა: გორის მცხოვრებელი იოსებ მაისურაძე გორის მაზრის მმართველობის მესამე ხარისხის საკანცელარიო მოხელედ, 22 იანვრიდგან.

დათხოვნილ იქმნა: მეხუთე ჟანდარმთა ესკადრონის უფროსი, ზოლკოვნიკი ბუჭუიაშვილი მუნდირითა და პენსიით და მასთან ებოძა გენერალ-მაიორობა; ტფილისის კადეტთა კორპუსის ზედამხედველი პოდპოლკოვნიკი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ავადმყოფობისა გამო, მუნდირით და პენსიით და ებოძა პოლკოვნიკობა.

## ახალი ამბავი

—

⁂ კვირას, 26 იანვარს, განსვენებულ ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების წლის თავზედ საექსარხოსო ეკკლესიაში საქართველოს ექსარხოსმა, ეპისკოპოსის ალექსანდრეს & ქალაქის სამღვდელოების თანაშემწეობით გარდაიხადა წირვა და პანაშვიდი. ამ ღვთის-მსახურებას ხალხი მრავლად დაესწრო. იმ დღესვე ნაშუადღევის 2 საათზედ, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაშიაც გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი კავალერიის გენერალი, თ-დი ი. გ. ამილახვარი, ტფილისის სხვა-და-სხვა საზოგადოებათა ადგილობრივ გაზეთების წარმომადგენელნი და სხვანი მრავალნი.

⁂ მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაუმტკიცებია ინჟენერ-გიდრავლიკთა კრების დადგენილება იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნიის სოფელ ნახახულევოს, საწულუკიძეოს და კუხის მკვიდრთ ნება მიეცეთ წყალი გაიყვანონ მდ. ცხენის-წყლიდგან თავისის ადგილ-მამულის სარწყავად.

⁂ როგორც ვუწყით, ბრიტანიის საღმრთო წერილის საზოგადოებამ უწმიდესის სინოდისაგან ქართულის დაბადების დასტამბის ნება-რთვა მიიღო. ეხლანდელი ქართული დაბადება მეთვრამეტე საუკუნეში არის ბატონიშვილის ბაქარის მიერ სლავიანურიდგან ნათარგმნი. ბაქარს მრავალი შეცდომა შეჰპარვია დაბადებაში, როგორც ეტყობა, სლავიანურის ენის სუსტად ცოდნისა გამო, და აგრეთვე იმიტომაც, რომ არც თვით სლავიანური დაბადება იყო მაშინ ნაკლს აცილებული. რათა ახალი გამოცემა ამ გვარ ნაკლს ასცდეს, საქართველოს ექსარხოსმა, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ვლადიმირმა, არხიმანდრიტის მამა ლეონიდის თავმჯდომარეობით, კამისია შეადგინა, რომლის წევრებადაც მიწვეულნი არიან მამა კირიონი (საძაგლიშვილი), მღვდელნი კალისტრატე ცინცაძე და კონჭოშვილი და ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ ნი ანტონ ნატროშვილი. კამისიის წევრნი კვირაში ორჯელ იკრიბებიან და მათდამი მინდობილს საქმეს გულმოდგინედ აკეთებენ. ისინი ეხლანდელს დაბადებას ადარებენ სლავიანურ, რუსულს, ბერძნულსა და ებრაულს დაბადებას. ამასთანავე კამისიას მოუპოვებია ორი ძვირფასი ქართული ვარიანტი, მშვენიერის ენით დაწერილი, ერთი იმათგანი მცხეთისა, მეშვიდე საუკუნეში ებრაულით ნარარგმნი, და მეორე ათონისა, მეათე საუკუნეში ბერძნულით ნათარგმნი. კამისია, როცა შექმნას (მოსე წინასწარმეტყველის 5 წიგნია) შეასწორებს, მაშინვე საზოგადოებას გადასცემს დასასტამბად და შემდეგ სხვა წიგნების შესწორებას შეუდგება. კამისია ჩქარა ვერ მორჩება მუშაობას, რადგან საქმეს ერთობ სიფრთხილით ეკიდება.

⁂ ჩვენ მივიღეთ № 1 საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი-"სა, რომელშიაც მოთავსებულია: ობოლი სიპიტო—ვაშაძისა; ჩიტი (ლექსი), შიო მღვიმელისა; პატარა მონადირე, საშობაო ამბავი, ალ. ბარნოვისა. ხალხური ლექსი; ბედნიერი დღე (მოთხრობა) ელიკოსი. ზანგი და თეთრი—ან. წ—სა; ქრისტე და ყმაწვილები გ. წყალტუბელისა; პატარა ლორდის თავს გარდასავალი (თარგმანი - · ე—კ—ოსი; ჯემს გარიელდის ცხოვრება—ბუატისი. ოქროს-ძმობილი (თარგმანი ზღაპარი) თ. კანდელაკისა; მელია და მონადირე არაკი ქილილა და დამანაიდგან. გლეხი და სანთელი (იგივე) ალ. მოშვილისა. შარადები, რებუსი და სხვა...

⁂ ამ დღეებში ბ-ნმა დიმიტრი ტატიშვილმა საინტერესო დოკუმენტი შესწირა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". ეს დოკუმენტი გახლავთ წერილი სრულიად სამეგრელოის დედოფლის ნინო გიორგის ასულისა და დედისა სამეგრელოს მთავარ ლევანისა. წერილის შინაარსი შეეხება რუსეთის ომს ოსმალეთთან 1809 წ ელს სამეგრელოში. შიგ მოხსენებულია იმ ომში სახელ-განთქმული გენერალი თავ. დიმიტრი ორბელიანი, მამა ჩვენის სახელოვანის პოეტისა გრიგოლ ორბელიანისა. მაშინ დედოფალი ნინო სოფ. ქალადიდს ბრძანებულა, საიდგანაც მოწერილია წერილი 1809 წ. ნოემბრის 16-ს. წერილის ბოლოს ოთხ-კუთხი ბეჭედია, რომელსაც აწერია: „დედოფალი სრულიად ოდიშისა ნინო გიორგის ასული". ეს წერილი პარკად ყოფილა გაკეთებული და დ. ტატიშვილს ერთს მედუქნესთან უპოვნია. აი ამ ნაირად იკარგნბა ჩვენი ისტორიული საბუთები

## ფელეტონი

—

### შავი-ჭირი

ეხლა გაზეთი არ არის, რომ ასე თუ ისე არ ჰლაპარაკობდეს იმ საშინელ მტერზედ, რომელსაც შავჭირს ეძახიან და რომელიც დღეს მუსრს ავლებს ინდოეთსა. შიში, რომ ეს საშინელი სტუმარი შესაძლოა ევროპასაც ეწვიოს და სხვა ქვეყნებსაც გადაედოს, მოსვენებას არ აძლევს მსწავლულებს ცალკე და სახელმწიფოებს საერთოდ და ერთნიც და მეორენიც ჰცდილობენ ჯერ არ შემოუშვან ევროპაში ეს ვაჟ-ბატონი და თუ როგორმე შემოიპარება,—როგორ მოამწყვდიონ ისე, რომ ან გაჩენისავე უმალ ბოლო მოუღონ, ან გადასარჩენი წამალი რამ მოუპოვონ ადამიანს.

ამ ჭირის თაობაზე პროფესსორი სტარიჩენკო ერთს რუსულ გაზეთში ადვილად მისაწვდენს წერილსა სწერს და ბევრს იმისთანა ამბავს გვიამბობს, იმისთანა დარიგებას იძლევა, რომ ფრიად საყურადღებოა ყოველ იმისათვის, ვისაც ესმის რა დიდი უბედურობაა ამ სტუმარის მობძანება და გაძლიერება სადმე.

პროფესსორი ჯერ გვიამბობს, რომ თავისს თავსა და მეცნიერებაზე დანდობილმა ევროპამ დიდი ხანია გადასწყვიტაო, ვითომც ჭირი სამუდამოდ მოჰშორდა ევროპასა და აღარაფრის შიში არ უნდა ჰქონდესო და ამბობდნენ: „ჭირი სამუდამოდ გადავარდნილ სენად უნდა ჩაითვალოსო და კაცობრიობა სამუდამოდ გადარჩენილია ამ საშინელის მუსრისაგანაო." ეს ასეთი გაბედული რწმენა ძალიან სუსტს საბუთზეა დამყარებულიო, სახელდობრ, იმ გარემოებაზე, რომ 1845 წელს ჭირი სრულიად მისწყდა არამც თუ ევროპაში, არამედ იქაც-კი, საცა მისი მუდამი ბინა იყო: ეგვიპტეში, მესსოპოტომიაში, სპარსეთში, არაბეთში, ჩინეთში და ინდოეთშიო. მას აქედ, პროფესსორის სიტყვით, ჭირმა ბევრჯელ იჩინა ხელახლად თავი თავისს უწინდელ ბინებზედა და მოჰყავს ამისი უტყუარი საბუთები. 1853 წლიდამ დღევანდლამდე თურმე ჭირი ხან აქ იფეთქებდა ქვეყნიერობაში, ხან იქ. ამ ხანის განმავლობაში, მართალია, იმისთანა დრონიც იყვნენო, რომ ჭირისა აღარა ისმოდა-რაო, მაგრამ მარტო შიგა და შიგ იყოვო ასეთი ბედნიერი დრონიო. მერე პროფესსორი გვარწმუნებს, რომ არც თვითონ მსწავლულთა და მეცნიერთ ჰქონიათ თურმე დღეს აქამომდე გამორკვეული რას დაარქვან ჭირი და რას არა. ამისი უტყუარი ნიშნები დღევანდლამდე ამოჩენილი არ იყო. ამის გამო საცა ეს საშინელი სნეულება გაჩნდებოდა, ერთი ბაასი და კამათობა ატყდებოდა ხოლმე მსწავლულთა და მეცნიერთა შორის—ჭირია, თუ სხვა რამ სატკივარიო. ზოგი ერთს ამბობდა, ზოგი მეორესა. მხოლოდ მარტო დღეს უკვე აღმოჩენილია იგი უტყუარი ნიშანი და უეჭველი, რომლითაც ჭირი შეუცდომელად იცნობებაო. 1894 წ. ერსენმა და კიტასატომ აღმოაჩინეს მიკრობი ჭირისა. ეგ მოკლე და მომსხო ჩხირია თურმე. ეს პაწია ჩხირი თუ ჩაუჯდა სულიერს რასმე აგებულებაში, ჭირის გაჩენას წინ აღარა დაუდგება რა. რაკი ეს აღმოაჩინეს, მარტო მას შემდეგ შესაძლო-ღა შეიქმნა აეხსნათ რად გადაჲის ჭირი ისე, რომ ზოგიერთს ქვეყანას გადაახტება ხოლმე. მაგალითებრ, მესსოპოტამიაში რომ გაჩნდება, უეცრად იფეთქებს ხოლმე არაბეთში, ტრიპოლში და რაც ამათ შორის ქვეყნებია თავზე გადაუვლის ხოლმე.

ეს ადვილად აიხსნებაო. ზოგჯერ ჭირი მძიმე სენად გადექცევა თურმე ადამიანს ასე, რომ კაცი თვალითაც შეატყობს ჭირიანს, ზოგჯერ-კი ჭირი სუბუქად სახდელია, თვალად არა სჩანს, აგებულებაში თავს იმალავს და ჭირიანი სანახავად ჯან-მრთელია და ფეხზე იხდის ხოლმე. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიაც იგი მაინც გადამდებია და სენი, საცა წავა ამისთანა ჭირიანი, თან მიაქვს. ამ სახით აქამდე ჭირიანობა კაცის თვალს ემალებოდა და ისე შეიპარებოდა სხვა ქვეყანაში, რომ ადამიანი ვერც-კი გაიგებდა. ეხლა, რაკი ჭირის უტყუარი ნიშანი ვიცითო, ეგრე შეპარება ჭირისა ძნელად მოსალოდნელიაო.

ეხლანდელი ჭირი, რომელიც ინდოეთში გაჩნდა, მეტის-მეტი ძნელი ჭირი თურმეა და ადვილად შესამცნევი. პროფესსორი იკითხება: შესაძლოა განა, რომ ეს ჭირი მოედვას ევროპას? რაც აქამომდე ჭირის თაობაზე ვიცით და შეტყობილი გვაქვს, ყოველ ამის მოწმობით შეგვიძლიან გადაწყვეტილად ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპისათვის მაგისი შიში სრულებით არ არსებობსო. დასავლეთს ევროპაში საზოგადო ჰიგიენა ისე გაძლიერებულია, სანიტარული პოლიცია ისე ფხიზელია და კარგად აგებული, ჟურნალ-გაზეთები მაშინვე აღნიშვნენ ხოლმე, თუ ადმინისტრაცია შესაფერად ვერ იქცევა და ამასთან აძლიერებენ მკვიდრთა შორის ზრუნვას და მეცადინეობას სიფაქიზესიწმინდისათვისაო. ყოველივე ეს დიდს და უეჭველს ნუგეშს იძლევაო. ყოველ ამისთანა ღონისძიების წყალო-

და დროა როგორმე ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. („ცნ. ფ.“)

*** ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობასა, პოლიციასა და ქალაქის ექიმებს, რომ ქალაქის გასუფთავებისათვის ილონონ ღონისძიებანი, სასანიტარო დასები შეადგინონ, კარგად ადევნონ თვალყური საჭმელ სასმელეულის სიავკარგეს ქალაქის ბაზრებში.

*** ქუნთრუშით ავად გამხდართა რიცხვი, როგორც ეტყობა, კი არა კლებულობს, ჰმატულობს. მაგალითებრ, როგორც გვაუწყებენ, 15 იანვრიდგან 26-მდე 11 ყმაწვილი გამხდარა ტფილისში ავად ქუნთრუშით.

*** ხვალ, 29 იანვარს, დილის 11 საათზედ, ავლაბარში აკურთხებენ ახალს პაწია საავათმყოფოს ქუნთრუშით ავადმყოფებთათვის. ეს საავადმყოფო იმართება თავ. ფალავანდიშვილების ქუჩაზედ, ჩერნიშოვის სახლში.

*** 27 იანვარს, საღამოს 11 საათზედ, ქალაქის სახლს, სადაც ქალაქის გამგეობის სადგომია, ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლმა დააზიანა ქალაქის გამგეობის საკრებულო ოთახი, სადაც დაიწვია კარ-ფანჯრების ფარდები. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ისა ყოფილა, რომ როდესაც ასასი კარებსა ჰკეტავდა, სანთელი ფარდებთან ახლო მიიტანა თურმე და ცეცხლი მოედო. ცეცხლის მქრობელმა რაზმა ჩქარა ჩააქრო ცეცხლი; ზარალი მაგდენი არა მოსვლია ქალაქს. ცეცხლის ჩაქრობას დაესწრნენ აგრეთვე ტფილისის პოლიცმეისტერი, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ივანენკო და ქალაქის მდივანი ჰრელაშვილი.

*** დოლანოვს შუამავლობა დაუწყია ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ ნება მომეცით ქალაქის მიწაზედ, მტკვრის ნაპირად, სახელმწიფო თეატრის პირდაპირ, საზოგადო ცივის წყლის საბანაო გავმართო და მსურველთ ცურაობა ვასწავლოო. დიდრონებზედ ორი შაური მექმნება გარდასახდელი დანიშნული და პატარეებზედ—ერთი შაური. ამას გარდა საბანაოებთან ხუთი არაბული ნავი მექმნება მტკვარზედ სასეირნოდ მოწყობილი და აგრეთვე ჩემს საბანაოში რამდენიმე გამოცდილი მცურავი მეყოლება, რათა შემწეობა აღმოუჩინონ ხოლმე, თუ ვინმე ჩაითრია წყალმა და გაჭირვება დაადგაო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთ დიდი სიფრთხილე სჭირთ, რომ აპარატით ცუდი სიტყვები არ უთხრან ერთმანეთს, როგორც ეს დღემდის იყო ხოლმე. რკინის გზის მმართველობა ეხლა ძალიან სასტიკად ეპყრობა ამ საქმის ჩამდენთ და სამსახურიდგანაც-კი ითხოვს. პირველ იანვრიდგან ჯერ ორი ტელეგრაფის მოხელე დაითხოვეს ამის გამო. წინად ასეთის საქმის ჩამდენთ 50 კ. და მანეთს ახდევინებდნენ ჯარიმად.

*** განჯა: 25 იანვარს მე-490 ვერსზედ რკინის გზის დარაჯის სადარაჯოს დაეცა ორი შეარაღებული თათარი, დარაჯი ორ ალაგს დასჭრეს და წაართვეს რაც ზედ ფული ჰქონდა. შეცვივდნენ სადარაჯოში და რაც ებადა სულ წაიღეს.

*** ზუგდიდი: ზუგდიდიდგან დეპეშით სწერენ გაზეთს „ნოვ. ობოზ.“-ეს, რომ იქ 23 იანვარს გაუქურდავთ სამოქალაქო სასწავლებელი და ერთიც მჭედელიო.

*** სოფ. გლდანი, (ტფილისის მაზრა): კვირას, 19 იანვარს, აკურთხეს ახლად დაარსებული ტაინის სოვეტნიკის მასლოვის ხარჯით სამინისტრო სკოლა. სკოლის კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, როგორც გლდანისა, ისე ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებელნი. მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ნამეტნავ ის დრო, როდესაც მღვდელმა მ. ანტონ ჩიქოვანმა აკურთხა კლასისა და მასწავლებლის ოთახები და ხალხს, შეკრებილს სკოლის ეზოში, გრძნობით სავსე სიტყვებით მიჰმართეს, როგორც საერო სასწავლებლების ინსპექტორმა ბ-ნმა პავლოვმა, ისე მასწავლებელმა გ. ფარადაშვილმა და ექიმმა ვაცაძემ. ბ ნმა ვაცაძემ უსასყიდლოდ დაუთმო თავისი შენობა ოთხის ოთახით, ვიდრე სკოლისთვის საზოგადოება ახალს შენობას დასდგამდეს. სასწავლებელში შესვლის მსურველნი თუმცა ბევრნი იყვნენ, მაგრამ უადგილობისა გამო მიღებულ იქმნა მხოლოდ 32 ყმაწვილი: 20 ვაჟი ძ 12 ქალი. კურთხევის შემდეგ ხალხმა სთხოვა ინსპექტორს რაიმე ღონის-ძიება აღმოეჩინა, რომ ყველა მსურველი დაკმაყოფილიყო. ინსპექტორმა მიჰმართა მასწავლებელს და მან განაცხადა, რომ ამ 32 ბავშვს გარდა, კიდევ მივიღებ ამდენსავეო, თუ სადილს შემდეგ ივლიანო.

*** სოფ. დარღვასი. (კავკავი) ამას წინად დარღვასში მცხოვრები ხაძარგოვი ვახშმის შემდეგ გარედ გამოვიდა თუ არა, ვიღაცამ თოფი ესროლა. თოფი ორის ტყვიით ყოფილიყო გატენილი. საბრალოს ტყვია მოხვდა მარცხენა მკლავში და სულ ერთიანად მიამტვრია. ექვი ორს კაცზედ მიიტანეს და შეიპყრეს კიდეც.

*** ქართველებს ერთი კარგი ჩვეულება გვაქვს, როცა რომელიმე ჩვენი, ასე თუ ისე შესამჩნევი მოღვაწე გამოესალმება წუთი სოფელს, ანუ სხვა შემთხვევას ვნახავთ, მაშინვე ფულის მოგროვებას დავიწყებთ ხოლმე ძ მის სახელობაზე თანხას ვაარსებთ. მაგრამ აქაც, როგორც საზოგადოდ სხვა საქმეშიაც, ერთობ სიუძლურე ძ გულ-გრილობა გვეტყობა. წარმოიდგინეთ, 17 წლის განმავლობაში, ბროსეს სიკვდილიდგან დღემდის, ფულიც-კი იმდენი ვერ შეგვიგროვებია, რომ, არა თუ მთელს ერსა, არამედ ერთს ცოტაოდნად შეძლებულს კაცსაც კი ბევრი ეჩვენოს. ყველა თანხა, გარდა ზეპირსიტყვიერებისა და ეპისკოპოსის გაბრიელისა, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას აბარია. მოგვყავს რაოდენობა ამ თანხებისა: მარი ბროსეს სახელობის თანხა შეადგენს 557 მან. 57 კაპ., დ. ბაქრაძისა—2344 მ. 12 კ., ნ. ბარათაშვილისა—559 მ. 78 კ., ალ. ყაზბეგისა—237 მ.50 კ., ი. დავითაშვილისა 357 მ. 92 კ., გურიელისა—25 მ. 72 კ., დ. ყიფიანისა—64 მ. 10 კ., შოთა რუსთველისა—1124 მ. 22 კ., სალიტერატურო თანხა 1493 მ. 50 კ., ი. კერესელიძისა—19 მ. 14 კ., ნინოშვილის (ინგოროყვასი)—29 მ. 10 კ., რ. ერისთავისა—1572 მ. 39 კ., და მეფე ერეკლესი—207 მ. 95 კ. სულ 8692—01 კაპ. ამ რიცხვიდხან დახარჯულია ალ. ყაზბეგის გასვენებაზედ 237 მ. 50 კა., და იოსებ დავითაშვილის ძეგლის ასაგებად 357 მან. 12 კაპ. სულ 595 მ. 42 კ. ყველა თანხის რაოდენობა, რომელიც „წერა-კითხვის საზოგადოებას“ აბარია, ამ ჟამად შეადგენს 8096 მან. 59 კაპ. ეს არის და ეს!..

## წერილი ბათუმიდგან

—

14-ს იანვარს, ნინოობას, დანიშნულმა საღამომ ჩვეულებრივ საუცხოვოდ ჩაიარა. დარბაზის მშვენიერი მორთულობა, ელექტრონის განათება, საინტერესოდ შედგენილი პროგრამა, ჩვენის საყარლის პოეტის აკაკისა და აგრეთვე გურულ მომღერალ ქალთა და ახალგაზდა ნიჭიერ მომღერალის ი. კარგარეთელის მონაწილეობა, უმთავრესად კი თვით პატიოსანი და კეთილი საგანი, რომლისათვისაც იმართება ყოველ წელიწადს ეს საღამო, შეიქნა მიზეზად, რომ საზოგადოება ძალიან ბლომად მოგროვდა. მხიარულება და დროსგატარება წმინდა ქართული იყო. აკაკიმ წაიკითხა თავისი ახალი, დღესასწაულის შესაფერისი ლექსი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. ბ-ნმა კარგარელმა იმღერა მის მიერვე ნოტებზედ გადაღებული ქართული ხმები. გალობაც და ხმებიც მშვენიერი იყო. გურულ-მანდილოსანთა სცენაზე საგალობად გამოსვლამ დიდი და სასიამოვნო მოქმედება იქონია საზოგადოებაზედ. დიაღ ჩინებული იყო იმათი საერო, ცოცხალი და უცხო კილოსთან შეუზავებელი ხმა-გალობა. საჯაროდ ასეთის ხმების ასეთს გალობას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენის საერო გალობის დასამკვიდრებლად. და გასავრცელებლად, რომ ხშირად მოხდებოდეს. წმიდა შემოსავალი დარჩა 1500 მანეთამდის.

აკაკი დარჩა კიდევ ცოტა ხნის სტუმრად ბათუმში. ამისმა პატივისმცემლებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და გაუმართეს სასიქადულო სტუმარს ვახშამი, რომელზედაც წარმოსთქვეს მოკლე სიტყვა უგანათლებულესმა თავადმა გიორგი შარვაშიძემ და გრ. ვოლსკიმ. აკაკიმაც წარმოსთქვა აიტყვა. აი, ეს სიტყვა სრულიად და შეუცვლელად.

ბატონებო!

ნება მიბოძეთ, რომ გულითადი მადლობა შემოგწიროთ საერთოდ ამ უზომო პატივისცემისათვის. მოხარული ვარ, რომ აქა გხედავთ ერთად, და ბედნიერი, მით უფრო, რომ მიზეზი მე გავხდი თქვენი აქ შეკრებისა. ისე უგნური და თავხედი არ გახლავართ, რომ ის, რაც დღეს აქ წარმოითქვა ჩემ შესახებ, დავიჯეროდა საკუთრად ჩემ თავზე მივიწერო. თუ მცირეოდენი წილიც-კი მიძევს, მაშინაც საკმაოდ ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, და გული სამხიარულოდ გაიშალოს მზად არის... გახსნილ გულს ყოველთვის თან ახლავს აშვებული ენაც, და ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იმისთანა რამ წამომცდეს დღეს, რომელიც აქამდე ჩემგან არ გაგიგონიათ! მოგახსენებთ ერთ ძველ ამბავს. ჩვენ უკანასკნელ მეფეების დროს, სხვათა შორის, დათუნა გოცირიძეც შესამჩნევ ვაჟკაცად იხსენიებოდა ხოლმე. მთელი მისი სიცოცხლე მტრებთან ბრძოლაში გაატარა, და მის ერთგულებას სიბერემდე არა დაჰკლებია-რა. როდესაც დაუძლურდა, მაშინ მოაგონდა მეფე სოლომონს და უწყალობა შესანიშნავი ხმალი. მოხუცმა მოწიწებით მიიღო ბატონის წყალობა, მაგრამ გულში-კი სთქვა: „რაღა დროს? სანამდი სურვილს ძალღონეც შესტანდა, მაშინ უბრალო ბლაგვ-ხმალს ვიქნევდი აქეთ-იქით მტრის მოსაგერებლად და დღეს-კი, როდესაც სურვილის მეტი აღარა შემრჩა-რა სიბერით, როგორ გამოვიყენოო? პირადად აღარას მარგებს და თუ ჩემ შვილებს გადავეცი, არც ის ივარგებსო: ისინი, ჩემდა საუბედუროდ, ვერ არიან ერთმანეთში კარგად და ვაი თუ ერთმანეთს დაუშინონო!.. უმჯობესია, საყდარში შევიტანო, ხატის წინ დავდვა,—მე ვილოცო, და, როდესაც ჩემი შვილები გონს მოვლენ ღვთის წყალობით, გამოიტანონ და მოიხმარონ მტრის მოსაგერებლადო! აიღო ის ხმალი და ნიკოლოოზ-წმიდას (ანუ, როგორც

—

ბით ის საშინელი მუსრი, რომელიც მძვინვარებდა უწინ ჭირისაგან დასავლეთს ევროპაში, სამუდამოდ აშორდა ევროპასაო. მართალია, შესაძლოა კიდევ ზღვის პირა ქალაქებში შემოიტანონ ჭირი, მაგრამ ჭირს იქავ ჩაჰკვლენ, საცა-კი გაჩნდება და ამით გათავდება საქმეო.

სულ სხვააო აღმოსავლეთ-ევროპა. აქ საშიშარია და დიდადაც ოსმალეთიო. მე პოლიტიკაში არ ვერევიო, ამბობს პატივცემული პროფესსორი, მაგრამ, თუ გვინდა საზოგადო ჯანმრთელობა სახეში ვიქონიოთ, ვიტყვი, რომ რაც მალე მოისპობა ოსმალეთი, როგორც სახელმწიფო, მით უფრო უკეთესი იქნებაო. ოსმალეთი იარაა ევროპის ტანზეო, იარა საზიზღარი, განუკურნებელი და შესაყარ-გადამდებიო. აძაგებს-რა ყოველის მხრით ოსმალეთსა, პროფესსორი ბოლოს ამბობს, რომ რამდენსამე საუკუნეს ოსმალეთი დედა-ბუდედ იყო ყოველ გვარ გადამდებ სატკივარისა და სენისაო. ეხლაც უეჭველად ესე იქნებაო. ჭირი მესოპოტამიაში ამოჰყოფს თავს და ოსმალო, რასაკვირველია, თითსაც არ გაანძრევს, რომ გზა შეუკრასო. აქედამ მცირე-აზიის ნაპირებს მოედება, არაბეთში გავა, ბოლოს სტამბოლშიაც მივაო. ოსმალოსაგან ნურას მოველით, ევროპის სახელმწიფოებმა უნდა თვითონ იკისრონ, რომ მცირე აზიიდამ არ გამოუშვან ჭირიო.

რაც შეეხება რუსეთს, პროფესსორი ამბობს, რომ წარსულსა და ეხლანდელს საუკუნოებში ჭირი ხუთჯერ ეწვია რუსეთს და ბევრი შეიწირაო. ხოლო მაშინდელი რუსეთი ეხლანდელს არა ჰგავსო. ეხლა ჩვენ ბევრი განათლებული მკურნალი გვყავსო და გამრჯე ადმინისტრაციაო. ამას გარდა თვითონ საზოგიდოებაც იმოდენად მიხვედრილია, რომ მთავრობას მიეშველება და მის განკარგულებას ხელს შეუწყობს და მოუმართავსო. თუ მხნედ შევეჭიდებით ამ საქმეს და არ ვუსუსტეთ გარჯასა, გავიმარჯვებთო. ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კავკასსაო. ვისაც გამოურკვევია და უცვნია ჭირის ვითარება, იმ გარემოებამ უნდა გააკვირვოს, რომ მთიანი ადგილები ძნელად გადასარჩენია ჭირისაგანაო.

მართლადაც, უმატებს პროფესსორი, ამ საუკუნეში სნეულება მთელი ორმოც-და-ათი წელიწადი არ მოშორდა იქაურობასაო. ბალკანეთის მთებში და მათთა ახლო მახლოებში წარსულ და ეხლანდელს საუკუნოებში დიდხანს ჰბუდობდა სატკივარიო. სირიის მთებში, გაჩნდება თუ არა, სამუდამოდ ბინას იკეთებსო. ეგევეა ჩინეთის მთიან ადგილებში და გიმალაების ჩრდილო კალთები ხომ ბუდეა და ბუდეჭირისაო. აქ თავის დღეში არ ილევა და აქედამ გადადის ყოველგანაო.

რადჰყვარებია ჭირს მთიანი ადგილებიო, კითხულობს პროფესსორი? მიზეზი ამისი მაღლობების ჰავააო. ჭირი იმისთანა ჰავას ეტანება, საცა 20-ს გრადუსზე მეტი სიცხე არ იცის და 5-ს გრადუსზე ნაკლებ სიცივე. აი რა მიზეზია, რომ როცა ძალიან დიდი სიცხეებია, ჭირი გადავარდება ხოლმე. ინდოეთში ჭირი ჰნელდება აპრილიდამ აგვისტომდე. მაშასადამე ეხლანდელი ჭირი ბომბეისა თავს დაიჭერს გაზაფხულამდე. გადავა სპარსეთში თუ არა ეგ იმაზეა დამოკიდებული—წელს ეცხელება სპარსეთში, თუ არა. თუ აპრილამდე არ მიესია სამხრეთს სპარსეთს, მას შემდეგ სპარსეთს შიში აღარა აქვს, რადგანაც გოლვა და სიცხეები დაუდგება. მაგასვე იმოწმება სხვა ადგილებიც: რა დროსაც სიცხე და გოლვა აჩნდება, იმ დროსვე ჭირიც გადავარდება ხოლმე. სიცივეც თურმე ამ რიგად მოქმედობს ჭირზე. ჩრდილო ქვეყნებში ზამთრობით ვერა ხეირობს. ზაფხულობით კი ბინას იკეთებს, თუ სიცხე-გოლვა არ არის.

ამ სიცხე-სიცივეზეა დამოკიდებული თურმე ის გარემოება, რომ ჭირი უფრო ეტანება და დიდხანს სძლებს მთიან ადგილებში. მაგალითად მოჰყავს პროფესსორს სირია. აქ დაბლობებში შემოდგომით და ზამთრობით ტემპერატურა ზომიერია და მთებში კი მაშინ აცივდება ხოლმე. ამის გამო მაისამდე თუ ივნისამდე სატკივარი მარტო მდაბლობებშია. მერე ზაფხულიც მოდის და დაბლობებში სიცხეებია და მთებში-კი გრილა. ამის გამო ჭირი დაბლობებში გაქრება ხოლმე და მთებში ადის. შემოდგომით მთაში რომ აცივდება, ისევ დაბლობში ჩამოდის, რადგანაც მაშინ არც ძალიან ცხელა, არც ძალიან ცივა. ამიტომაც მთიან ქვეყნებიდამ ძნელად გამოდის ჭირი და დიდხანს რჩება. ეხლა ადვილად მისახვედრიაო, ამბობს პროფესსორი, რომ თუ ვინიცობაა ჭირი მოედო მესოპოტამიას (ძალიან საფიქრებელიც არის, რომ მოედებაო), კავკასიას უნდა ეშველოს რამე, რომ ჭირმა იქ ფეხი არ მოიკიდოსო და არ გამაგრდეს, როგორც მიუვალ ციხეშიო.

მდაბიოდ ეძახიან, ნიკოწმიდას) შეს. წირა...

მეც, სწორედ, ამ დათუნას დღეში ვარ. სანამ ახალგაზდა ვიყავ, ძალ-ღონით ავსილი, მაგ თანაგრძნობას მოკლებული ვიყავ. ჩემი ერთგულება პირ-იქით, სიძულილს იწვევდა. მართალია, მტრები გამირბოდნენ, მაგრამ მოყვრებსაც ვერ ვხედავდი ჩემ სიახლოვეს, და დღეს-კი, როდესაც „ის ველარ ვარ, რაც ვიყავ“, ქვეყნის თანაგრძნობა დათუნას ხმალივით უდროვოდ მომეწყალობა. პირადად ჩემთვის ალარაფერი გამოსადეგია და, არ ვიცი, რომელ „ნიკოწმინდას“ შევწირო, რომელ ტრაპეზზე დავდვა?.. სხვებს რომ გადავცე ისიც საეჭვოა, რადგანაც დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი ზაზოგადო მოღვაწეები, ცოტა არ იყოს, წაჰგვანან დათუნას შვილებს. უცხოელებს ერთი ანდაზა აქვსთ: „ჭკუა კარგია და ორი კიდევ უკეთესიო!“ ეს ანდაზა ჩვენში საუკულმართოა: „ჭკუა კარგია და ორი კი უბედურება“. დღეს ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზდები გვყავს, საკმაოდ მომზადებული. თვითოეული მათგანი, თავის-თავად, სადაც, უნდა იყოს, რომელ სარბიელ: ზედაც. ძალაა, მაგრამ, თუ გვერდში სხვა მისივე ტოლი ძალა ამოუდგა... მშვიდობით!.. აღარა გაკეთდება-რა! ეს ძალები ეხლებიან ერთმანეთს და ბატის კვერცხებივით ერთმანეთს ალაყებენ.

ეს არის ჩვენი დღევანდელი ჭირი, თუმცა მემკვიდრეობითი-კი, და ამ მხრით ჩვენ ძალიან დაქვეითებული ვართ, მაშინ, როდესაც პირუტყვებმაც-კი იციან ერთმანეთის მიმხრობა გაჭირვების დროს!.. მეცხვარის ძაღლებს რომ ჩხუბი მოუდით ხოლმე და ერთმანეთსა ჰგლეჯენ, მაშინ იმათი გაზავება აღარაფრით ხერხდება, აღარც ჯოხით, აღარც ქვით და აღარც ცივი წყლის გადასხმით; მაგრამ იმ გაგიჟებისა და გაბრაზების დროსაც, ერთი თუ ვინმემ დაიძახა: „მგელი! მგელიო!“ ძაღლები ერთმანეთში ჩხუბს თავს ანებებენ და ერთად გარბიან მგლის მოსაგერებლად. ჩვენ კი...ჩვენ ჯერაც ვერ გაგვიცალცალკეებია საპირადო და საზოგადო!!.. გაწრთვნა გვაკლია და გაუწვრთნელი ხარიც არ გაიბმის უღელში; ვეცადოთ, რომ ამ სენს როგორმე თავი დავახწიოთ, თორემ უამისოთ ყოლიფერი უქმია და უნაყოფო: სადღეგრძელოცა, მრავალჟამიერებაც, და ამ გვარი თანა-გრძნობაც, რომელსაც მე დღეს მიცხადებთ, დათუნას „ხმალივით გამოუსადეგარს.“

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთს „ნაროდ“-ს შემდეგი ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ როგორ არის დღეს წარმართული რუსეთში ხალხის განათლების საქმე.

„ევროპის რუსეთშიო, —ამბობს გაზეთი, — სასწავლებლებში მხოლოდ მკვიდრთა საერთო რიცხვის $3^0/_0$-იაო; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სკოლაში შესაყვანი ბავშვები (7—11 წლამდე) შეადგენენ მკვიდრთა $11^0/_0$, მაშინ ცხადად დავინახავთ, რომ მცხოვრებთა დანარჩენი $8^0/_0$, ესე იგი $9^1/_2$ მილიონი ბავშვი ვერ ახერხებს სკოლაში შესვლას“...

გაზეთი ადარებს რუსეთს სხვა სახელმწიფოებთან და ამბობს, რომ რუსეთთან მხოლოდ პორტუგალია სდგას ახლოს ამ მხრივ, მაგრამ იქაც-კი $3,27^0/_0$ მდე სწავლობს საერთო რიცხვისაო, ესე იგი $0,27^0/_0$-ით მეტიაო.

„უნდა აღვნიშნოთო, ამბობს გაზეთი, —რომ ჩვენ სამართლიანად მოგვწონს თავი სხვა სახელმწიფოებთან ჩვენის პოლიტიკურისა და ეკონომიურის გამარჯვებით; მაგრამ იმავ დროს ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამ მე-XX საუკუნის დამდეგს არა თუ კულტურით, არამედ უბრალო წერა-კითხვის ცოდნის მხრივაც-კი არ შეგვიძლია თავის მოწონებაო. ყველასათვის ცხადია, რომ წერა-კითხვის ცოდნა უსაჭიროესი იარაღია ხალხის ეკონომიურის კეთილ-დღეობისა; გაუნათლებელსა და უსწავლელს ხალხს მოთხოვნილებაც ნაკლები აქვს და თავისი ცხოვრების გაუმჯობესებაც არ შეუძლიანო“.

## შავი ჭირი

პარიზის საექიმო აკადემიის სხდომაზედ სასანიტარო ნაწილის უფროსმა ინსპექტორმა, პროფესორმა პრუსტმა წაიკითხა ფრიად საყურადღებო რეფერატი შავის ჭირის შესახებ. ეს მეცნიერი შავი ჭირის გავრცელების მიზეზად ასახელებს ხალხის სიმშილსა და სიღარიბეს. სიღარიბეს თან მოსდევს უსუფთაობა და ეს უკანასკნელი კი საუკეთესო იარაღია როგორც ყველა სენისა, ისე შავის ჭირის გასავრცელებლადაო. მეცნიერის აზრით, ამ მხრით უფრო ცუდს გარემოებაშია ოსმალეთი, რადგანაც იქ ამ უკანასკნელ უწესოებათა გამო ისე გაღარიბდა და გაღატაკდა ხალხი, რომ თუ სენმა ერთხელ იჩინა თავი, მერე მასთან ბრძოლა გაჭირდებაო.

„ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენს დროში, როცა საექიმო მეცნიერება ასე განვითარებულია, ეს ჭირი ისე ვერ მოიკიდებს ფეხს, როგორც ეს მოხდა მეXIV საუკუნეში, როცა „შავი სიკვდილი“ მუსრს ავლებდა ხალხს. მაგრამ მაინც საშიშია ისეთი სენი, რომელიც 6000 კაცს იმსხვერპლებს წელიწადში. ეს საშინელი სენი შეიძლება გადმოვიდეს სპარსეთში და შემდეგ რუსეთში. მაგრამ ამ მხრით მაინც უფრო საშიშია ბომბეი, რომლის ნავთ-სადგურში იყრის თავს მთელის ქვეყნის გემები. აქედგან ეს სენი ადვილად გადავა მეწამულისა და ხმელთა შუა ზღვაზედ და მერე ეგვიპტესა და ევროპაში გავრცელდებაო“. მეცნიერს დიდი იმედი აქვს დეზინფექციისა: 1894 წელს ჰონგ-კონგში, სადაც ამ სენის შესასწავლად ექიმები იყვნენ გაგზავნილნი, იაპონელ შვიდს ექიმს შორის სამი გახდა ავად და ერთი კიდეც მოკვდა; მაშინ როცა ინგლისის თერთმეტ ექიმს არაფერიც არ გასჭირვებიაო. ამის მიზეზი ის იყო, რომ ინგლისელი ექიმები უფრო ჰიგიენის შესაფერად სცხოვრობდნენ, ვიდრე იაპონელები... როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, 1876 წლიდგან ხოლერა მხოლოდ ზღვის შემწეობით შემოჰქონდათ ევროპაში; მაგრამ გაიმართა თუ არა ამიერკასპიის რკინის გზა, ხოლერამაც შეიცვალა გზა, რკინის გზით გადმოვიდა რუსეთში და აქედგან ჩვენც გვესტუმრაო, ამიტომაც რუსეთის მთავრობას დიდი სიფრთხილე ჰმართებს, რომ ამ გზით ეს საშინელი სენი არ შემოეპაროს“...

მაგრამ ინგლისი, ეს კაპიტალის საღარო, სრულიადაც არ თანაუგრძნობს სხვა ქვეყნების ამ მხრივს შიშსა და მრწოლას. ის, როგორც ყველგან და ყველაფერში, კარგად ჰგრძნობს თავისს ძალას და გაზეთი „St James Gazette“-ის პირით მედიდურად ეუბნება მეზობლებს: „სუფთად დაიჭირეთ თქვენი სახლ-კარი და ამ სენისაც ნუ გეშინიანთო. ჩვენ ინგლისელები, თუმცა უფრო ხშირი მიმოსვლა გვაქვს ჩინეთთან, ვიდრე ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს, მაგრამ მაინც შიშს არ ვიტარებთ გულში, რადგანაც კარგად ვიცით, რომ ჩვენი სახლ-კარი ერთობ სუფთად და კარგად არის მოწყობილიო“...

ინგლისს მართლაც რომ „მალი შესწევს ქადილსა“ და სრული უფლება აქვს თავი მოიწონოს თავისის „სახლების სისუფთავით“.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

(„უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“)

ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ მ. ი. საღარაძისა თხზულება (?) „უმთავრესი კითხვები სალიტერატურო კრიტიკისა“. გვგონია, რომ ბ-ნ საღარაძეს კორექტურული შეცდომა მოსვლია, რომ სიტყვა „ნათარგმნი“ გამოუტოვებია. ამ წიგნაკის უმთავრესი ნაწილი არის თარგმანი გეტჩელდის „სალიტერატურო კრიტიკის პრინციპებისა“, რომელიც 1896 წ. გამოცემულია (მეჟდუნაროდ. ბიბლიოტეკა“-საგან. არ არის ნახვენები არც ერთგან, რომ ავტორი ხელმძღვანელობდა ამ პატარა წიგნაკით, რა ვიფიქროთ, არ ვიცით. შეიძლება ბ-ნ გეტჩელდსა და ბ-ნ საღარაძეს ერთი და იგივე აზრი მოუვიდათ და ერთისა და იმავე სიტყვებით მოიწადინეს ამ აზრის გამოთქმა. ეს კია, რომ გეტჩელდის წიგნი რუსულს ენაზედ უკვე 1895 წელს არის გამოსული, ბ-ნ საღარაძისა-კი 1896-ის დამლევში. თუ ფაქტებს მომთხოვთ, აი ბატონებო. გეტჩელდი გვ. 12 და 13 საღარაძე გვ. 23 და 24.

| | |
|---|---|
| И такъ, великіе писатели даютъ намъ вѣчно истинную картину человѣческаго сердца и исторію того, какъ измѣнялся человѣкъ въ теченіе вѣковъ; они изображаютъ намъ безконечную борьбу между добромъ и зломъ и рисуютъ свѣтлые образы прекраснаго, къ которымъ въ мечтахъ стремится каждый изъ насъ. | ამ ნაირად დიდებულნი მწერალნი გვაძლევენ ჩვენ მუდამ ჭეშმარიტ სურათს ადამიანის სულისა და გვიხსნიან იმას, თუ როგორ იცვლებოდა ადამიანი საუკუნეთა მიმდინარეობაში. იგინი გვიხატავენ ჩვენ დაუსრულებელ ბრძოლას კეთილისა და ბოროტისას და გვიხატავენ ჩვენ სიმშვენიერის ნათელ სურათებს, რომელთაც ელტვის ყველა ჩვენგანი. |
| Отсюда различные роды критики. | აქედგან წარმოდგება სხვა-და-სხვა გვარი კრიტიკა. |
| Одни критики обращаютъ вниманіе только на совершенство письма: ихъ единственная забота — красота произведенія. Они полагаютъ, что художникъ сдѣлалъ все, если его произведенія вызываютъ въ насъ тѣ чистыя эмоціи, которыя даютъ намъ созерцаніе красорты. Такова, по ихъ мнѣнію, главная задача искусства. Если эти критики даютъ совѣты, то послѣдніе касаются лишь того, какъ достигнуть совершенства формы. Если они хвалятъ или порицаюъ какое нибудъ произведеніе, то исключительно за то, что оно приближается или удаляется отъ идеаловъ чистой красоты, какъони ее понимаютъ. Это— критика чисто эстетическая. | ერთი კრიტიკოსი უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს გარეგნულ ღირსებას: იმისი უმთავრესი ყურადღება მიქცეულია ნაწარმოების გარეგნულ სიმშვენიერეზე. ამ გვარი კრიტიკის შეხედულობით ყოველი მწერალი სრულიად აკმაყოფილებს თავის მოვალეობას იმ შემთხვევაში, როდესაც იწვევს მკითხველებში გრძნობას სიმშვენიერისას: ეგ არის ხელოვნების უმთავრესი მიზანი—ამავე კრიტიკის აზრით ყოველი მწერალი უნდა ცდილობდეს თავის ნაწარმოებში მიაღწიოს სიმშვენიერის გამოხატვის უმაღლესობამდე. ეგ არის ნამდვილი ესტეტიური კრიტიკა. |
| Другіе критики задаютъ автору вопросъ, какіе практическіе уроки вытекаютъ изъ его произведенія. Они требуютъ, чтобы литература была прежде всего проповѣдницей нравственныхъ правилъ. По ихъ мнѣнію, главная задача литературы это—сдѣлать человѣка лучшимъ. Такова критика *моралистическая* или *тенденціозная*. | მეორე კრიტიკოსი მხოლოდ იმასა ეძიებს, თუ როგორი აზრი და შინაგანი ღირსება აქვს ყოველს ნაწარმოებს. იგი თხოულობს, რომ მწერლობა უწინარეს ყოვლისა ზნეობურ წესებისა და კეთილი ცხოვრების მქადაგებელი იყოს. ამ გვარი კრიტიკის აზრით უმთავრესი დანიშნულება ხელოვნებისა არის ადამიანის განკარგისება.— ეგ არის მორალისტური ანუ ტენდენციური კრიტიკა. |
| Третьи главнымъ образомъ ищутъ въ произведеніи тѣхъ чертъ, которыя характирузуютъ эпоху или націю. Они изучаютъ писателя въ связи съ тою средою, въ которой онъ жилъ и разсматриваютъ, какъ отразилась она на немъ. Это критика *историческая*. | მერმე კრიტიკოსი ყოველ ნაწარმოებში ნიშნავს იმისთანა მხარეებს, რომელნიც რომელიმე ისტორიის ხანას, ანუ ხალხის მდგომარეობას ასურათებენ. იგი აფასებს მწერალს იმის მიხედვით, თუ როგორი გავლენა უქონებია მასზე თანამედროვე პირობებს და როგორ შეუგნია და გაურკვევია თვით ამ მწერალს თანამედროვე ცხოვრების უმთავრესი მოთხოვნილებანი. ნაწარმოების ამ გვარ დაფასებას უნდა ვუწოდოთ ისტორიული კრიტიკა. |
| Наконецъ, четвертые сосредоточиваютъ главное вниманіе на вѣрности изображенія. Они ищутъ преимущественно въ произведеніи, съ одной стороны, тѣхъ постоянныхъ чертъ, которыя свойственны всѣмъ людямъ; съ другой — тѣхъ особыхъ свойствъ характера, которыя отличаютъ одного индивидуума отъ другого. Это— критика *психологическая*. | ხოლო მეოთხე კრიტიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მწერლობის ნაწარმოებში ერთის მხრით მუდამ შეუცვლელს და საზოგადო თვისებებს, რომელნიც შეადგენენ ყოველი ადამიანის სულიერ ბუნებას, და მეორეს მხრით ხასიათის იმ გვარ განსაკუთრებულ მხარეებს, რომლებითაც ერთი ადამიანი განირჩევა მეორესაგან. — ეგ არის ფსიხოლოგიური კრიტიკა. |

ახსნა სხვა-და-სხვა გვარის კრიტიკისა, სხვა-და-სხვაგვარის კრიტიკის ღირსებისა და ნაკლულევანების და ფორმაც სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილია (იხ. 25 26, 27, 28, 29, 30 და სხვა ბ-ნ საღარაძისა და გვ. 20, 25, 28, 29, 31, 32, 33 და სხვა ბ ნ გეტჩელდისა) საკვირველი შეხედულება აქვთ ჩვენს მწერლებს თარგმნებზედ, ასე ჰგონიათ, რომ რაც უნდა უნიჭო თხზულება დასწერონ, მაინც მეტს სახელს მოიხვეჭენ, ვიდრე რამე დიდებულის მწერლის ნაწარმოების გადმოთარგმნით. რა უშავდა მაგალითად ბ ნ საღარაძეს „კორექტურული“ შეცდომა გაესწორებინა, თავისი სახელის ზემო სიტყვა ნათარგმნი დაესტამბინებინა. გარწმუნებთ, უფრო დიდი მადლობელი ვიქნებოდით და ეხლა-კი.... თვით ბრძანოს რა სახელი ჰქვიან ასეთს მოქმედებას. ვინ იტყვის იმას, რომ ჩვენი მწერლები არა სესხულობდნენ უცხოეთის მწერლების აზრებს, მათ გავლენის ქვეშ არ იყვნენ? ვინ არ იცის, რომ ორგანალურის აზრების ფილოსოფოსსა, ან კრიტიკოსს საქართველო ეხლა აღარა ჰბადავს, მაგრამ რაც უნდა იყოს, ცოტა მაინც უნდა ეტყობოდეს კაცს ორგინალობა, სიტყვები მაინც უნდა იხმაროს თავისებური და თუ ესეც არა აქვს, თუ კომპილიაციას ადგენს, ე. ი. თუ მისი თხზულება გამოჩენილის მწერლის ნაწარმოების ნაგლეჯებიდგან შესდგება, ეს მაინც უნდა ინებოს, რომ მოიხსენიოს, რომელი მწერლის თხზულებითა ხელმძღვანელობდა.

# დამაკვირდი

უფრო ბევრ დედ-მამისათვის გონიერი ყმაწვილი იგია, ვისაც თოჯასსავით უჭირავს თავი: ხელი აქვს—არ უნდა გასძრას, ფეხი აქვს—არ უნდა ირბინოს, ენა აქვს—ხმას არ უნდა იღებდეს, მისმა ბრწყინავმა თვალებმაც კი არ უნდა აღიბეჭდონ რაიმე სურვილი... ბევრი დედ-მამა ჰზრდის შვილსა თავიანთ თავისათვის და არა იმისათვის, რომ შვილი ბედნიერ ჰყონ სამერმისოდ. ჭეშმარიტი გაზდა შვილისა უნდა იყოს უანგარო. ბავშვი უნდა იზრდებოდეს თავისის თავისათვის, სამშობლოსთვის, კაცობრიობისათვის.

გუიო

***

ვიდრე მამულის-შვილად შეიქმნებოდეს ადამიანი, ჯერ უნდა კაცად იქმნას.

ჟულ სიმონი

***

ის ცოდნა კი არ არის სანატრელი და სხელსაყრელი, რომელიც გროვდება ტვინში, როგორც ქონი ხორცში, არამედ ის, რომელიც გადიქცევა ხოლმე სულის ძარღვებად.

სპენსერი

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ხანგრძლიობა სიცოცხლისა. ამ ბოლოს ხანებში ნუ-იორკის აკადემიაში ერთმა მეცნიერმა ვარნერმა წაიკითხა ლექცია და საგნად ჰქონდა ხანგრძლივობა ადამიანის სიცოცხლისა. ლექტორმა მრავალის საბუთით აღმოაჩინა, რომ უპირველესი მიზეზი ხანგრძლივ სიცოცხლისა სიდიდეა გულმკერდისა, ფილტვებისა, სტომაქისა, კუჭისა და ტვინისა. თუ ადამიანს ყოველი ეს ორგანო კარგა დიდი ჰრგებია ბედისაგან, ხანგრძლივად სიცოცხლის პატრონს თვალადაც შეეტყობაო. მაგისთანა ადამიანს ტანი გრძელი აქვს და ფეხები მოკლე—ტანის სიგძის შედარებით, ხელის-გული გრძლად აქვს განზიდული და თითები მოკლე, თუ ყურები ღრმად უსხედან, ეგ იმის ნიშანია, რომ ტვინი დიდი აქვს, კარგს ნიშანს წარმოადგენს ლაჟვარდი თვალი ჶ მიხაკის ფერი, ფართო, და ღია ნესტოები მოასწავებს ღონიერს და ჯანმრთელ ფილტვებს. იშვიათია, ვარნერ ის სიტყვით, რომ ეს ნიშნები არ გამართლდესო. საყურადღებოა ერთი დასკვნაც ამ მეცნიერისა ამის შესახებ: მისის აზრით, ბავში დიდ-ხნიერ დედ-მამისა, გონებითად უფრო გვიან მწიფდება, ვიდრე მცირე-ხნიერ დედმამისანიო. (ლ.).

**
*

თაფლის წყლის აბანო. ფუტკრის თაფლი ეხლა დიდს პატივს ცემაშია საფრანგეთში როგორც მეტად კარგი რამ ქალთა ტუალეტისათვის; თაფლს წყალში ურევენ და ამ თაფლიან წყალში ბანობენ. აი როგორ უნდა მომზადდეს საბანებელი: აიღეთ წყალი ერთი მეთორმეტე ნაწილი ვედრისა, შიგ

გახსენით ნახევარ გირვანქა მარილი და რვა ლოტი (წონაა) სოდა, ესრეთი ნარევი ჩაასხით გეჯაში (ვანნაში) და კარგად მოურიეთ წყალსა, მერე აიღეთ ფუტკრის თაფლი ორ გირვანქა ნახევარი, ეს თაფლი გახსენით აუდუღარ და ნალებ მოუხდელ რძეში; რძე საკმაოა ერთი მეოთხედი ვედრისა. ყოველივე ეს ძალიან უნდა ერთმანეთში აირიოს, რომ ერთმანეთს კარგად გაუჯდეს.. ამისთანაში ბანება ძალიან აფაქიზებს, ჭუჭყს კარგად ჩამორეცხს და თვით კანსაც არბილებს. გარდა ამისა კანს თურმე ელფერი უკეთდება და ელვარება ეძლევაო. (ს. ხ.).

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

დეკანოზმა დიმიტრი ხახუტაშვილმა გადმომცა ახალციხის სამრევლო სასწავლებლის სასარგებლოდ ოცი მან., რომელიც მიუღია პატივცემულ მღვდლის მ. იოანნე გვარამაძისაგან. მადლობას ვუძღვნი იოანნე გვარამაძეს ხსენებულის შემოწირულებისათვის.

მასწავლებელი ახალციხის სამრევლო სასწავლებლისა გ. კარბელაშვილი.

# დეპეშა

25 იანვარი

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში კერზონმა განაცხადა: მთავრობამ შეიტყო, რომ რუსეთისა და საფრანგეთის კონსულებმა ოფიციალური წერილი გაუგზავნეს ეგვიპტის მთავრობას და დაეკითხნენ, მართლა ესესხეთ ინგლისს ფულს და აიღებთ მისგან სესხს, თუ არაო. ამასთანავე კონსულები სწერენ, სამართლიანობა ითხოვდა, მაგ გვარის თხოვნით, თანხმად წინანდელის დადგენილებისა, ყველა სახელმწიფოსთვის უნდა მიგემართათ და არა მარტო ინგლისისათვისაო. გიქს-ბიჩმა სთქვა: „მომავალ წელში ჩვენ უნდა ალვძრათ ლაპარაკი იმის შესახებ, კანონიერია თუ არა ის სასამართლო, რომელსაც ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელნი შეადგენენ და რომელსაც სხვა სახელმწიფონი განგებ ანიჭებენ უფლებას. ეგვიპტემ ახლა ვალი უნდა გაისტუმროს და ამისთვის ინგლისმა ფული უნდა ასესხოს. ინგლისმა და ეგვიპტემ პირობა დასდეს, რომლის ძალითაც ეგვიპტე ვალდებულია, ინგლისს სესხში $2^3/_4$% აძლიოს და დროგამოშვებით ნაწილ-ნაწილად გადიხადოს თავნი ვალი. ეგვიპტეზედ გაცემულ სესხს ოკუპაციის ვადის გაგრძელება მოჰყვება და ამის მიზეზი საფრანგეთია, რომელიც თავისუფლად მოქმედებისათვის ხელს გვიშლის, თუმცა ეგვიპტეს მშვიდობიანობისათვის პასუხისგება-კი ჩვენ მოგვახვია თავზედ. ჩვენ არ გვესმის, რა საბუთი აქვს იმას, წინააღუდგეს დონგოლის ექსპედიციისათვის სესხსა და იმავე დროს გვარწმუნებდეს, რომ ეგვიპტეს შეუძლიან თავისს საკუთარს ფეხზე დგომა. მთავრობა ისევ წინანდებურად იმოქმედებს, ვინაიდგან ეგვიპტე, სანამ ნილოსის ხეობაში მას მტერი ჰყავს, უზრუნველ ყოფილი არ არის. მაინც და მაინც აუჩქარებლად უნდა ვიმოქმედოთ. ეგვიპტეს არ შეუძლია არც ვისმეს დაუთმოს თავისი ადგილები, არც რიგიანად განაგოს ანუ უპატრონოს. შესაძლოა წელსვე ჯარით მივიდეთ აბუ-გამიდზე და მერე იქნება იმის იქითაც წავიდეთ; რამდენად იქით, ამას ჯერ ვერ ვიტყვით. ჩვენს მოვალეობას შეადგენს, უზრუნველ ვჰყოთ მიმოსვლა იმ ადგილებში, რომელიც ქედივს ემორჩილება და შემდეგ დავიჭიროთ რამდენიმე საჭირო სტრატეგიული ადგილი. ჩვენ მხოლოდ 270,000 გირ. სტერლინგსა ვსთხოვთ პარლამენტს ვადიგალფიდგან აბუ-გამიდამდე ვიწრო ლიანდაგიანის რკინის გზის გასაყვანად. მთავრობის პოლიტიკა სასარგებლოა ინგლისის უმრავლესობისათვის. (ისმის ხანგრძლივი ტაშის ცემა და მოწონების ხმა). მორლეი არ დაეთანხმა გიქს-ბიჩს: ეს საფრანგეთსა და რუსეთს დიდად აწყენინებსო, მაგ საუბარს შეიძლება იმის ძიებაც მოჰყვეს, გულ წრფელია განზრახვა ინგლისისა, რომ თავი დაანებოს ეგვიპტესა თუ არაო; ეგვიპტე ინგლისის ვალს ვერ მოიშორებსო; ინგლისმა ერთობ ცუდი დრო აირჩია ექსპედიციისათვისაო. გარკურმა გაჰკიცხა საშიში კილო გიქს-ბიჩისა რუსეთისა და საფრანგეთის მიმართ: ამისთანა გამოწვევა ძვირად დაუჯდება ინგლისსაო. კერზონმა უპასუხა, რომ გიქს-ბიჩის სიტყვაში არავისათვის გამოწვევა არ არისო. პარლამენტმა 169 მხით წინააღმდეგ 57-ს დონგოლის ექსპედიციისათვის ფული გადასდვა.

26 იანვარს

**ტაშკენტი.** იმიერ-კასპიის ოლქის უფროსისაგან ცნობაა მიღებული, რომ შავი ჭირი ყანდაარში გადმოვიდაო. ამიტომ განკარგულებაა გაცემული, ჯარი იქმნას დაყენებული შავის-ჭირის გადმოტანის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად ამუდაარიის გასწვრივ აკიტაშის ჰებიდგან მოკიდებული ვანნამდეო.

**პარიზი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, სრულიად აღკრძალულ იქმნას საფრანგეთის ნავთ-სადგურებში დალლა იმ საქონლისა, რომელიც ინდოეთის შავის ჭირით შეპყრობილ ადგილებიდგან იქმნება მოტანილი. რაც შეეხება მოგზაურთ, იმათ შესახებ განსაკუთრებული საკარანტინო ღონის-ძიებანია მიღებული.

**პარიზი.** ბირჟაზედ ძალიან ცუდად იმოქმედა ინგლისის სტატს-სეკრეტარის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ ეგვიპტის შესახებ. კრიტის საქმეც ბევრს აფიქრებს და აღონებს, რასაც ხელს უწყობს საბერძნეთის მკვიდრთა მოუსვენრად ყოფაც.

**კანეია.** იმ ტყუილად გამომდგარ ამბის გამო, რომ ვითომ შეიარაღებულმა ბრბომ მაჰმადიანებისამ 27 ქრისტიანე მოჰკლაო, ოთხშაბათს ღამეს ვალიმ ბრძანება გასცა, თავს დასცემოდნენ ამ ბრბოს. როგორც ხმა დადის, 20 ჯარის-კაცია მოკლული. კანეიასთან შეტაკებამ საღამომდის გასტანა; ბევრს ალაგას სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. ზოგიერთნი კონსულნი, რომელნიც სოფელ ჰალეპოს ახლოს იყვნენ, კანეიაში ვერ შევიდნენ. ჰალეპოს მკვიდრთ ჯერ კონსულთა სადგომებს შეაფარეს თავი და შემდეგ სამხედრო ხომალდებზედ გადავიდნენ. კანეიასთან ბრძოლა ღამე შესწყდა, მაგრამ ცეცხლწაკიდებული სახლები ჯერ კიდევ იწვის. ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის სამხედრო ხომალდების უფროსნი გადმოვიდნენ ნაპირზედ და სცდილობენ ცეცხლი არ გავრცელდეს და ხალხი დაამშვიდონ. 24 იანვარმა მშვიდობიანად ჩაიარა. ქრისტიანენი კვლავ ხომალდებზე იყრიან თავს. ზღვაოსანთა მეცადინეობის მიუხედავად ცეცხლი ჯერ არ არის ჩამქრალი. ხუთშაბათს მომხდარ არეულობის დროს მოკლულთა რიცხვი 30-სინ იქნება.

**კონსტანტინოპოლი.** ბასრში გხრდაიცვალა შავის-ჭირის სნეულების ნიშნებით ყარაჩიდგან მოსული ინდოელი ქალი. მეორე ინდოელი ქალი, რომელიც აგრედვე ავად არის რაღაც საეჭვო სენით, საავადმყოფოშია მოთავსებული. კაბარინის საავადმყოფოში იმყოფება ბასრიდგანვე მოსული არაბი, რომელიც აგრედვე საეჭვო სენით არის ავად.

**კონსტანტინოპოლი.** სინოდის აქ მყოფნი წევრნი მიწვეულ იქმნენ პატრიარქის თანამდებობიდგან გადადგომის გამო მოსალაპარაკებლად. გაზეთებს აკრძალული აქვთ ამ საქმის შესახებ წერა.

27 იანვარი

**პარიზი** ,,Journal des Dèbats“ ი ეგვიპტის საქმეთა შესახებ უსაყვედურებს გიქს-ბიჩს მკვახე, მედიდურის სიტყვის წარმოთქმისა და საერთაშორისო არსებულ წეს-რიგის უარ-ყოფისათვის. გაზეთი დასძენს, რომ მთელის ქვეყნის ზნეობრივი გრძნობა შეილახება, თუ ინგლისი კერძო ცუდად გაგებულ ინტერესისათვის შელახავს ხელ-შეკრულობის ყველა უფლებასაო.

**ბერლინი** ბრძანება გამოიცა იმის შესახებ, რომ ჯავშნიანი ხომალდი „იმპერატრიცა ავგუსტა“ კრიტის წყლებზე გაიგზავნოსო.

**ვენა** ,,Fremdnbllatt“,-ი კრიტის საქმეთა შესახებ იმ აზრისა არის, რომ ოსმალეთში საფერმატორო მოქმედება ევროპიის სახელმწიფოებმა დაიწყეს საქმეთა ეხლანდელ მდგომარეობის დაცვის დეკლარაციით და ამის წინააღმდეგი მოქმედება ვერ მოიპოვებს ევროპის თანაგრძნობასაო. კრიტის შესახებ საბერძნეთის რადიკალური აზრი დიდს განსაცდელში აგდებს საბერძნეთის თანამემამულეთაო.

**კანეია**, 24 იანვარი, ქალაქში საღამოს მშვიდობიანობაა, მაგრამ ცეცხლი-კი არ ჩამქრალა. ქრისტიანეთა ოჯახებმა გემებს შეაფარეს თავი. ცეცხლმა მოიცვა ქალაქის ახლო მახლო ადგილები. მეამბოხეთა და ჯარის-კაცთა შორის გაცხარებული თოფის სროლაა. ჰალეპოს მახლობლად 700 შეიარაღებული ქრისტიანი ემზადება შეებრძოლოს შეიარაღებულ მაჰმადიანთ. რეტიმნოსა და კანდიაში საქმე საშიშს მდგომარეობაშია.

**პეტრბურგი.** 26 იანვარს დიდი მთავარი მიხეილ მიხეილის ძე საზღვარ გარედ გაემგზავრა.

## გამოსადეგი ცნობანი

სავაჭრო ამბები

შუშის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 20 მარტს იქ გაიყიდება ა. ტერ-კარაპეტოვის მამული, რომელიც 500 მან. არის დაფასებული (შეიძლება ნაკლებადაც გაიყიდოს).

ქ. ბათუმის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 26 თებერვლისათვის დანიშნულია საჯარო გასასყიდად მამულები მურად-ბეგისა და გაიდარ-ბეგ-აჭმედ ბეგ-ზადესი, 500 მან. დაფასებული.

15 თებერვალს ტფილისში გზათა მმართველობის კანცელარიაში დანიშნულია ვაჭრობა ორ გასაკეთებელ სადარაჯოს იჯარით გასაცემად: ერთი უნდა გაკეთდეს ახალციხე-აბასთუმანის გზატკეცილზედ 2,970 მანათად და 52 კაპ. მეორე აბასთუმანში—5,232 მ. და 75 კაპ.

ტფილისის საგუბერნიო მმართველობა აცხადებს, რომ 3 თებერვალს 1897 წ. გაიყიდება ერთ-სართულიანი სახლი ტფილისის მოქალაქისა სოლომონ აკოფვას ძე გუხიევისა, რომელიც იმყოფება სოლოლაკში. მიწის ზომა $21^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენია, მამული დაფასებულია 216 მანათად.

თიანეთის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ 14 თებერვალს 1897 წელს გაიყიდება მამული სვიმონ ბოდაკვისა, რომელიც იმყოფება სოფ. ახმეტაში. მამული აწერილია გასასყიდად 200 მანათში.



## განცხადებანი

**ყარსის რკინის გზის სამმართველო** ამითი აცხადებს, რომ ამ მიმდინარე წლის 15 თებერვალს, თვით ამავე გზის სამმართველოს შენობაში, რტიშჩევის ქუჩაზედ, № 26, დილის 12 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ყარსის რკინის გზის შენობისათვის საჭირო, რიცხვით სამი მილიონის აგურის მოტანის იჯარით გაცემისა.

აგური უნდა იყოს კარგად შეზავებული თიხა ნარევის ქვა-კირითა და სილით, კარგად გამომწვარი, მჭიდრო და მაგარი; არ უნდა ერიოს ქვა-ხრეში და სხვა აგურისათვის მავნებელი ნივთიერება, რომელიც ხელს უწყობს აგურის მალე დაშლა დამტვრევას წვიმისა და ნამისაგან და, ამასთან წყალშიაც გამძლე იყოს. დაკვრის დროს აგურმა უნდა გამოსცეს ლითონისებრივი ხმა; კიდეები უნდა ჰქონდეს სწორე, რომ უფრო ადვილად შეიძლებოდეს კედლის სწორედ ამოყვანა.

აგური ამ ზომისა უნდა იყოს: სიგრძე უნდა ჰქონდეს 6 სიგანე $2^7/_8$ და სისქით კი $1^1/_2$ ვერშოკი.

აგური მიიღება აქეთა მხრის რკინის გზაზედ და ან თვით ყარსის გზაზედ, ვაგონებში ჩაწყობილი; დანიშნულ ადგილზე აგურის კარგად მიტანის პასუხის გება უნდა იკისროს თვით მოიჯარადრემ. ხოლო ნახევარ-ნახევარი აგური შეიძლება ერიოს 15%. ფულის მიღება შეიძლება: 75% აგურის ვაგონებში ჩაწყობის თანავე და 25% კი იმის დანიშნულ ადგილას მიღების შემდეგ.

მოიჯარადრე აგურის დაზიანებისათვის პასუხის გებისაგან განთავისუფლდება, თუ ეს დაზიანება რკინის გზის მიზეზით მოხდა.

გადატან გადმოტანა აგურისა კავკასიის აქეთა მხრისა და ყარსის რკინის გზებზედ შეიძლება შეღავათიანის ტარიფით: ფუთის ყოველ ვერსზედ დათმობა, $^1/_{000}$ კ. გარდა სადგურის სხვა გადასახადთა, რომელიც ჩვეულებისამებრ გარდახდება.

ვაგონში დასაფენი ფიცრები და სხვა მისთანები, რაც კი აგურის გადატან გადმოტანის დროს იხმარება, მოიჯარადრეს დაუბრუნდება იმ სადგურზე, სადაც თვით აგურის ქარხანაა. ხოლო ამ ფიცრების წაღებ-წამოღება მუქთად შეიძლება ყარსის გზაზედ, კავკასიის აქეთა ნხრის რკინის გზებზე კი შეღავათიანის ტარიფით.

აგური უნდა ჩაჰბარდეს თანასწორ ნაწილებად ამ წლის პირველ ოკტომბრამდე. ამასთანავე ამ იჯარის აღების მსურველთ ვაუწყებთ, რომ სადგურ საღანლუღის მახლობლად მოიპოვება ისეთი მასალა, რომლიდანაც შეიძლება საკმაოდ კარგის ღირსების აგურის გაკეთება და თუ ვინმე გამოჩნდება მსურველი ააგოს ამ სადგურთან აგურის ქარხანა, ამისთვის საჭირო მასალა ყარსის გზაზედ ზემოხსენებულის ტარიფით შეიძლება გადაიტანოს.

პირობის შეკვრის, დროს, ვინც ამ იჯარას აიღებს, უნდა შემოიტანოს ბეთ მთელის ჯამის 5%; ამას გარდა, რკინის გზა ყოველ მიტანილ აგურის საფასურიდგან დაიჭერს 10% ამბეს შესავსებლად იმ დრომდე, ვიდრე შესრულდებოდეს ყარსის რკინის გზის მოიჯარადრეთათვის დაწესებული რაოდენობა.

დაწვრილებითი პირობის შეტყობა თვით ყარსის გზის სამმართველოს სამეურნეო განყოფილებაში დილის 9—11 საათამდე, ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა. (3—6.—3)

---

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1897 ГОДЪ

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ПОЛИТ. И ЛИТЕРАТУРНУЮ ГАЗЕТУ

# ,,Новое Обозрѣніе“

(четырнадцатый годъ изданія)

Въ 1897 г. ,,Новое Обозрѣніе“ будетъ выходить **въ Тифлисѣ**, какъ и въ прошлые годы ежедневно, по программѣ большихъ столичныхъ газетъ.

**Условія подписки:** съ пересылкою и доставкою: на **годъ—10 р.** на полгода—**6. р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ **1 р. 50 к.**, **За границу:** на годъ—**17 р.**, на полгода—**9 р.**, на три мѣсяца—**5 р.**, (Подписка принимается не иначе какъ считая съ перваго числа любого мѣсяца) Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—**7 р.**, полгода—**4 р.**

**Для годовыхъ подписчиковъ**, какъ городскихъ, такъ и иногороднихъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится 3 р., къ 1-му марта—2 р., къ первому мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.,

Подписка и объявленіе принимаются **ВЪ ТИФЛИСѢ**: въ конторѣ газеты, Барятинская ул. №8.

Иногородные адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ**, въ редакцію „**Новаго Обозрѣнія**“

(3.—Э.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 27 го Января 1897 г. სტამბა შ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.